

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის  
ანგარიში  
01.08.2015-31.12.2015



თბილისი

ოკუპირებული ტერიტორიები .....	4
კონტრდაზვერვითი საქმიანობა.....	8
ტერორიზმთან ბრძოლა.....	11
კიბერუსაფრთხოება.....	15
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა .....	16
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....	20
ანალიტიკური საქმიანობა .....	21
პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა .....	22
ადამიანური რესურსები .....	23
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა .....	26
უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა.....	27

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა.

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების საპასუხოდ, უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანი და დემოკრატიული ფუნქციონირების მიზნით, 2015 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა დამოუკიდებელი, დეპოლიტიზებული, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მქონე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

სამსახური ხელმძღვანელობს სახელმწიფოსა და მისი თითოეული მოქალაქის და არა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით. მისი საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ თანაბრად იყოს დაცული როგორც უსაფრთხოება, ისე ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მისიაა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა, საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა.

უსაფრთხოების სამსახური შედგება 13 სტრუქტურული ერთეულისგან. ესენია: ადმინისტრაცია, კონტრტერორისტული ცენტრი, კონტრდაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, საინფორმაციო-ანალიტიკური, ოპერატიულ-ტექნიკური, ოპერატიული ღონისძიებების, ობიექტების დაცვის, ეკონომიკური, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტები, ანტიკორუფციული სააგენტო, კადრების მთავარი სამმართველო და გენერალური ინსპექცია.

ბოლო წლებში მსოფლიოსა და რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. დღეისათვის, ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებს, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობას, საერთაშორისო ტერორიზმს, კიბერსაფრთხეებს, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ საფრთხეებს, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების შესაძლო გავრცელებას და ა.შ.

სახელმწიფო უსაფრთხოება დიდწილადაა დამოკიდებული უსაფრთხოების სამსახურის ეფექტიან საქმიანობაზე. აღნიშნულის აუცილებელი წინაპირობაა პრიორიტეტების სწორი განსაზღვრა. არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის პრიორიტეტებს განეკუთვნებოდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებზე მუშაობა და მათგან მომდინარე საფრთხეების შეკავება,

კონსტიტუციური წესრიგის დაცვა, უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობის საპასუხოდ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება, ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კორუფციისა და სამოხელეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პოლიტიკის გატარებას. ასევე, ანალიტიკური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაუმჯობესებას, შიდაუწყებრივი და უწყებათშორისი კოორდინაციის, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

## ოკუპირებული ტერიტორიები

სუს-ისთვის მთავარი გამოწვევა ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და იქ განთავსებული უცხო ქვეყნის სამხედრო ძალაა. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე დიდი ოდენობით რუსული სამხედრო კონტინგენტი, თანამედროვე ტიპის მძიმე შეიარაღება, მათ შორის, შეტევითი სამხედრო ტექნიკის არსებობა, სახელმწიფოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობა, იქ არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება (გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცებები, ყაჩაღობები, მკვლელობები, მოსახლეობაზე თავდასხმა), ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება (ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით), ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი (მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვა და ტრანშეების გათხრა), თავისუფალი გადაადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ინტენსიური სამხედრო წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის რუსული სამხედრო თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა და უპილოტო საფრენი აპარატების მიერ დარღვევის ფაქტები და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევა საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების შეკავებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის პროცესებისთვის ხელშეშლის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახდენს ადგილზე არსებულ ვითარებაზე პერმანენტულ დაკვირვებას, განვითარებული პროცესების შეფასებას, ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, აქტიურად მონაწილეობს ანტიანექსიური

პოლიტიკის, ასევე დეოკუპაციის მიმართულებით ნაბიჯების შემუშავებასა და განხორციელებაში. ინფორმაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებისა და იქ განვითარებული პროცესების შესახებ მუდმივად მიეწოდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

უსაფრთხოების სამსახური, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ახორციელებს ადგილზე უსაფრთხოების ღონისძიებების კოორდინაციას.

სუს-ი ჩართულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ორი რაუნდი (33-ე და 34-ე რაუნდები) გაიმართა, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალურმა წარმომადგენელმა, I სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მიმოიხილა ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება.

2015 წლის 1 აგვისტოდან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წამყვანი უწყებაა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატის შეხვედრებში. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში, სუს-ი მუდმივად აყენებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინციდენტების, ადამიანის უფლებების დარღვევის, ე.წ. სასაზღვრო ინფრასტრუქტურის უკანონო მოწყობის საკითხებს, ასევე საუბრობს საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან სხვა უკანონო ქმედებებზე. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით (სოფ. ერგნეთში) IPRM-ის ფარგლებში 4 შეხვედრა გაიმართა.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით (გალში), 2012 წლის აპრილის შემდეგ, IPRM-ის შეხვედრები არ გამართულა, რადგან დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის იმდროინდელი ხელმძღვანელი **ანჟეი ტიშკევიჩი** პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. უსაფრთხოების სამსახური, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან გალში IPRM-ის შეხვედრების აღსადგენად. ჩვენი ხელისუფლებისა და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების ძალისხმევით შედეგად, მომდინარე წლის 23 მარტს, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 35-ე რაუნდზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება გალში აღნიშნული შეხვედრების განახლებასთან დაკავშირებით.

IPRM-ის ფარგლებში შექმნილი ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია ე.წ. „ცხელი ხაზი“, რომელიც 24 საათიანი კავშირის საშუალებას წარმოადგენს სუს-ის,

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM), რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალებისა და ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებს შორის. ცენტრალური ხელისუფლების სახელით, მათთან კომუნიკაციას „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, სუს-ის მეკავშირე-ოფიცერი ახორციელებს.

იგი 24/7-ზე ფორმატით კავშირზეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (ოკუპაციის ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი უწყება) და სხვა შესაბამის უწყებებთან. „ცხელი ხაზით“ ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა ხელს უწყობს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ინციდენტებისა და დამაბულობის პრევენციას, უმოკლეს ვადაში გარკვევასა და გადაწყვეტას. 2015 წლის აგვისტოდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „ცხელი ხაზი“ სულ 572-ჯერ ამოქმედდა (ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 177-ჯერ, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 395-ჯერ). აქედან, უსაფრთხოების სამსახურის მიერ ცხელი ხაზი 277-ჯერ იქნა გააქტიურებული.

სუს-ისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპაციის ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით განხორციელებული უკანონო დაკავებები. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით აღნიშნული უკანონო ბრალდებით 69 ადამიანი იქნა დაკავებული.<sup>1</sup> 67 მათგანი იქნა გათავისუფლებული, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით უკანონო პატიმრობაში რჩებოდა 2 პირი.

უკანონოდ დაკავებულთა დროულად გასათავისუფლებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს, მათ შორის „ცხელ ხაზს“ და IPRM-ის შეხვედრებს (სადაც სხვა თემებთან ერთად განიხილება უკანონოდ დაკავებულთა გათავისუფლების საკითხები).

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით უკანონოდ დაკავებულთა ძირითადი რაოდენობა ოკუპირებული გალის რაიონის მაცხოვრებელია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM) თანამშრომლობას. მისია, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი და, ამასთანავე, ერთადერთი საერთაშორისო მონიტორია რეგიონში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და მისიას შორის 2015 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

<sup>1</sup> 2015 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით უკანონოდ დაკავებულთა რაოდენობა შეადგენს 163 ადამიანს, ხოლო 2016 წელს დაკავებულია 10 ადამიანი.

სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა. ასევე, აღსანიშნავია თანამშრომლობა გაერო-სთან.

სუს-ი ჩართულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით ორგანიზებულ სამმხრივი შეხვედრების ფორმატში, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა მოძიებას ითვალისწინებს.

უნდა ითქვას, რომ 2013 წლის ბოლოს დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლების ინიციატივით, სამმხრივი შეხვედრები შეჩერდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მოხერხდა აღნიშნული ფორმატის განახლება და პირველი შეხვედრა (ოფიციალურად, რიგით მე-9) 2016 წლის 5 თებერვალს გაიმართა.<sup>2</sup>

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მისი მანდატის ფარგლებში, აცნობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას პარტნიორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. ამ მიზნით, სამსახურმა ორგანიზება გაუწია სხვადასხვა ოფიციალური პირებისა და მედიის წარმომადგენელთა ვიზიტებს საოკუპაციო ხაზზე. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით საოკუპაციო ხაზი პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლესი დონის 11-მა დელეგაციამ მოინახულა.<sup>3</sup>

უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის ფორმატებში: „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, „კონფლიქტურ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით“ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი და სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ეგიდით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

<sup>2</sup> ანალოგიური მექანიზმი ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულეებით მიმდინარეობს ორმხრივ ფორმატში (აფხაზები-ქართველები) და მასში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩართულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

<sup>3</sup> ნორვეგიის, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრები, უნგრეთის, ჩეხეთის, ბრაზილიის საპარლამენტო დელეგაციები, ჩეხი ჟურნალისტები.

## კონტრდაზვერვითი საქმიანობა

კონტრდაზვერვითი საქმიანობა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები გამუდმებით ცდილობენ, ლეგალური თუ არალეგალური მეთოდებით, მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია, შეაღწიონ ხელისუფლების ორგანოებსა და ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებში, მოიპოვონ წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებაზე, გადაიბირონ ან/და ჩანერგონ კონკრეტული პირები, საქართველოზე პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების, ქვეყნის პოლიტიკაზე ზეგავლენის, სახელმწიფო სტრუქტურების დესტაბილიზაციისა და საკუთარი მისწრაფებების რეალიზების მიზნით.

აღნიშნულის გასანეიტრალებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პერმანენტულად ხორციელდებოდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის, გეგმების, მოქმედებების არეალის, მათ მიერ გამოყენებული ძალებისა და საშუალებების, მოქმედების ფორმებისა და მეთოდების, დაინტერესების ობიექტებისა და კავშირების შესწავლა, ასევე სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა.

სუს-ის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და სახელისუფლებო წრეების უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისგან დაცვას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ყოველგვარი ზეწოლისა და მანიპულაციის გარეშე მიღების მიზნით.

აქტიურად მიმდინარეობდა ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურების უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეღწევისაგან დაცვის ღონისძიებები. ხორციელდებოდა უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სისტემიდან ინფორმაციის გადინებისა და ხსენებულ ორგანიზაციებში დეზინფორმაციის მოხვედრის/გავრცელების პრევენცია, ჯაშუშების შეღწევის შესაძლო არხების გამოვლენა და შესაბამისი კონტრდონისძიებების გატარება.

საქართველოს თავდაცვის დანაყოფების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის კუთხით, მიმდინარეობდა მუდმივი მონიტორინგი იმ პირთა მიმართ, რომლებიც შესაძლებელია კავშირში იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან და შესაბამისად, ეწეოდნენ დესტრუქციულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს კიბერუსაფრთხოების ღონისძიებებს.



გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კუთხით. დაიხვეწა საიდუმლოებაზე დაშვების მექანიზმები, რაც ნებართვის გაცემას, მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციულ დახმარებასა და საიდუმლოების დაცვაზე კონტროლის დაწესებას გულისხმობს. სამსახურის ძალისხმევა, ასევე მიმართული იყო შიდა საფრთხეებისა და ინფორმაციის გაჟონვის პრევენციაზე, უსაფრთხოების ზომებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე, აგრეთვე იმ სუბიექტთა გამოვლენაზე, ვინც ცდილობდა ავტორიზებული წვდომა ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გამოეყენებინა.

ზემოაღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში 87 (37 - სახელმწიფო დაწესებულება, 50 - კერძო სამართლის იურიდიული სუბიექტი) დაწესებულებაზე გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების ნებართვა (ფორმა №4). 8 დაწესებულებას უარი ეთქვა ნებართვის მიღებაზე. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებით, აგრეთვე სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით.

102 დაწესებულებაში განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების მისაღებად და საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 4182 ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა, რომლის შედეგად გამოვლენილი იქნა 150 ნასამართლევი პირი. 17 პირს უარი ეთქვა დაშვებაზე. სხვადასხვა დაწესებულებიდან მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის კუთხით გაეწია 925 პირს.

განხორციელდა 115 მოთხოვნის, დაახლოებით 30000 გვერდი გრიფით „სრულიად საიდუმლო“ და „საიდუმლო“ დოკუმენტაციის შესწავლა-შეფასება, მათი განსაიდუმლოების მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კუთხით აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე 2015 წლის 28 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსკ-ის 321-ე მუხლის მეორე ნაწილით, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისადმი მოპყრობის წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება. მიმდინარეობს გამოძიება.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე (რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის 2 ფაქტზე, საბაჟო საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღის გადმოტანის წესის დარღვევის ფაქტზე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღების ფაქტზე, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე). ბრალდებულის

სახით პასუხისგებაში მიცემული და დაკავებულია 8 პირი (3 მათგანი დაკავებულია 2016 წლის იანვარში).

უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების დაცულობას. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადებულია და მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №584 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხა. ხსენებული სტატუსი განისაზღვრა 25 სუბიექტის მიმართ და თითოეულს, სპეციფიკის გათვალისწინებით, დაუდგინდა შესაბამისი რეჟიმი. უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთობები მაღალი რისკის სუბიექტებთან ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამით საბოლოოდ ითქვა უარი ე.წ. ოდევრების ინსტიტუტზე.

სუს-ი, მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, ახდენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების კონტრაზვერვით უზრუნველყოფას. გამოვლენილია ცალკეული სუბიექტების მიმართ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესება და ამ სუბიექტებში სადაზვერვო შეღწევის მცდელობები. მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი ოპერატიული მუშაობა მაღალი რისკის მქონე სუბიექტების უსაფრთხოების ამაღლებისა და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის მიზნით.

ოპერატიულ კონტროლზე აყვანილია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებში კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან“ ერთად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლებაში.

საფრთხეების გათვალისწინებით, ხორციელდება საქართველოში მოქმედი იმ კერძო ფირმებისა და საწარმოების ოპერატიული კონტროლი, რომელთა საქმიანობის სფეროს სამრეწველო და სამხედრო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება, შექმნა, შენახვა, რეალიზაცია, გამოყენება, გადაზიდვა და იმპორტ-ექსპორტი წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, ადგილი აქვს აღნიშნული რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციას დასავლეთის ქვეყნების მიმართულებით. ისინი ერთ-ერთ მარშრუტად საქართველოს ტერიტორიას მოიაზრებენ. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ისლამის რადიკალური მიმდინარეობის წარმომადგენელთა საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალური თუ არალეგალური გზით მოხვედრის ალბათობა, რომელთა გარკვეული ნაწილი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესების ობიექტს წარმოადგენს.

უსაფრთხოების სამსახური მონიტორინგს ახორციელებს ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის და ქ.ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილებაზე, მათ შორის შესაძლო ოპერატიულად საყურადღებო პირთა და მათი კონტაქტების გამოსავლენად. ნიშანდობლივია, რომ სასაზღვრო კონტროლის გავლის პროცესში საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო, შემაფერხებელი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის პირს ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა. საანგარიშო პერიოდში, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა უცხო ქვეყნის 300-მდე მოქალაქეს.

## ტერორიზმთან ბრძოლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის გლობალური საფრთხე ცვალებადი, არაპროგნოზირებადი და მზარდია. გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“. თუმცა, ამით არ მცირდება სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან („ალ-ქაიდა“, „თალიბანი“ და სხვა.) ასოცირებული საფრთხეები.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები. „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინა. ისლამისტური იდეოლოგიის გამავრცელებლები ცდილობენ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ცნობიერება მათ სასარგებლოდ გამოიყენონ. ბოლო დროს გავრცელებული ვიდეომიმართვებიც, ერთის მხრივ, გარკვეული აუდიტორიის რადიკალიზებას, ხოლო, მეორეს მხრივ, საზოგადოების დაშინებას ემსახურებოდა. ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში რამდენიმე ათეული საქართველოს მოქალაქე იბრძვის. არიან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მსურველებიც. მათი ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობა აზიანებს ქვეყნის იმიჯს და საფრთხის შემცველია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარ ტერიტორიაზე ნებისმიერი ტერორისტული საქმიანობის პრევენცია და აღკვეთა, რადგან აღნიშნული შესაძლებელია ცალკეული სახელმწიფოების მიერ საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ტერორიზმის წინააღმდეგ

ბრძოლაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის მიმართ ტერორისტული რისკების შემცირება, სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისაგან დაცვა. ამ მიმართულებით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები.

აღნიშნული მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების საქმიანობის გამოვლენასა და აღკვეთას. სამსახურის საქმიანობა ასევე მიმართული იყო სირიასა და ერაყში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტოდ გამოყენების ფაქტების გამოვლენაზე. ხორციელდებოდა ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფ პირთა აქტიური კონტრტერორისტული ძებნა. აქტიურად ხორციელდებოდა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ პირთა და ორგანიზაციების ოპერატიული კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა გამოძიება ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. წარმომადგენლის აიუფ ბორჩაშვილის და მისი დაჯგუფების წევრების (გ. კუპრავა, გ. ხუტუნიშვილი და დ. ფირისებია) წინააღმდეგ. საქმე აღძრულია სსკ-ს 327<sup>1</sup> (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება) და 328 (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) მუხლებით. 2016 წლის 7 მარტს დასრულდა მათი სასამართლო პროცესი. თბილისის საქალაქო სასამართლომ აიუფ ბორჩაშვილს 14 წლით, გიორგი ხუტუნიშვილს 11 წლით, დავით ფირისებიას კი, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაჯგუფების კიდევ ერთ წევრთან გიორგი კუპრავასთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც მას სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და პირობითი 5 წლიანი პატიმრობა, 6 წლიანი გამოსაცდელი ვადით.

ოპერატიული ღონისძიებები გატარდა აჭარასა და გურიაშიც. შედეგად დადგინდა იმ პირთა ვინაობა რომელთაც სავარაუდოდ ე.წ. ერთგულების ფიცი მისცეს „ისლამურ სახელმწიფოს“. მათ საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სხვადასხვა ნივთმტკიცებები, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები. დაკავებულია 4 პირი. მიმდინარეობს გამოძიება.

უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცის გამოყენების პრევენციას. 2015 წლის ნოემბერში, შეიზღუდა წვდომა რადიკალური იდეოლოგიის

გამავრცელებელ ვებგვერდებსა და სოციალურ მედიაში დარეგისტრირებულ ჯგუფებზე.

უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიმდინარეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე საქართველოში დაბრუნებული „ჯიჰადისტების“ პასუხისგებაში მიცემა. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2015 წლის 22 ოქტომბერს თურქეთიდან საქართველოში დაბრუნებული დავით ბორჩაშვილის წინააღმდეგ, რომელიც სსკ-ს 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ან/და მისი დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში) იქნა დაკავებული. მისი წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 1 მარტს გაიმართა. სისხლის სამართლის საქმე ასევე აღიძრა სირიის არაბთა რესპუბლიკაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ნოდარ ჰაქსადის, ხვიჩა გობაძის (დაიღუპა 2016 წლის იანვარში), ბადრი ირემადისა და მამუკა ანთაძის წინააღმდეგ სსკ-ს 410-ე (დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებებში) მუხლით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 23 ნოემბერს აღნიშნული პირების მიერ, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელდა საქართველოს წინააღმდეგ მუქარისა და ძალადობის შემცველი ვიდეომიმართვა. გამოძიება ასევე მიმდინარეობს თამაზ ჭალაიძის („აჰმედ ალ გურჯი“) მიმართ სსკ-ს 330<sup>1</sup> მუხლით (საჯაროდ მოწოდება ტერორიზმისკენ), რომელიც სირიაში გაემგზავრა 2014 წლის ივნისში და გაწევრიანდა „ისლამური სახელმწიფოს რიგებში“.

დღეის მდგომარეობით სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ინფორმაციას აღნიშნული პირების შესახებ და მათი საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში გაატარებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს.

საქართველოს მოქალაქეების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის გამგზავრების პრევენციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მუდმივად ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები. გამგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახური იღებდა შესაბამის ზომებს (მათ შორისაა „პროფილაქტიკური საუბრები“). სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ან/და კავშირში მყოფ პირებზე, ასევე ტრანზიტულად გადაადგილების მსურველებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულ იქნა რამდენიმე ასეული პირი. მთლიანობაში, კონტრტერორისტული მიმართულებით, შსს-სთან თანამშრომლობით, საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1286 პირი, ხოლო 1014-ს

აეკრძალა საქართველოში შემოსვლა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღკვეთილია საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი.

ტერორისტული საქმიანობისთვის ქვეყნიდან გამგზავრებისა და შემოსვლის პრევენციის მიზნით, შსს-სთან თანამშრომლობით სათანადოდ ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი (საზღვრის მწვანე ზოლის, ასევე სასაზღვრო გამტარი პუნქტების). ხდება ვიზიტორებთან გასაუბრება. ყველა სასაზღვრო-გამტარი პუნქტი აღჭურვილია ბირთვული და რადიოაქტიური მასალების/ნივთიერებების დეტექტორებით. პერმანენტულ რეჟიმში ხორციელდება საზღვრის მართვაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა ტრენინგი, მათ შორის ყალბი სამგზავრო დოკუმენტების აღმოჩენის სფეროში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აშშ-სთან, ისრაელთან, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიასთან კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების (საგამოძიებო და ანალიტიკური ტრენინგები), ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ერთობლივი ღონისძიების დაგეგმვის სფეროებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან. სუს-ის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის ნოემბერში, აზერბაიჯანის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა დააკავეს (ქ. ბელაქანში, აზერბაიჯანი) აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც საქართველოს გავლით გეგმავდა თურქეთში, ხოლო შემდგომ სირიაში გადასვლას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ტერორისტულ საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. განხორციელდა ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნე სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებისა და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობების პასპორტიზაცია და რისკების ანალიზი. მიმდინარეობდა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (ე.წ. იოლი სამიზნეები) უსაფრთხოების ზომების შეფასებაც. მუდმივად ხდებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეც. დანაყოფების მომზადება/გადამზადება როგორც ტაქტიკური მოქმედებების (სნაიპერის კურსები, ანტიტერორისტული ღონისძიებები ქალაქის პირობებში, ტერორისტების ბანაკების განადგურების ოპერაციები, სამთო მომზადების კურსები და ა.შ.), განაღმვითი სამუშაოების, ისე მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენისა და გაუვნებელყოფის კუთხით. ამ მიმართლებით ხაზგასასმელია საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა. საანგარიშო პერიოდში ასევე გაუმჯობესდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ტაქტიკური დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

## კიბერუსაფრთხოება

კიბერუსაფრთხოება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სხვადასხვა აქტორები კიბერსივრცეს იყენებენ პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სხვა მიზნების მისაღწევად. სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარების, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მზარდი დამოკიდებულების პირდაპირპროპორციულად იზრდება სხვადასხვა სფეროს მოწყვლადობა და კიბერშეტევებით გამოწვეული ზიანის მასშტაბები. კიბერშეტევები საფრთხის შემცველია ქვეყნის უსაფრთხოებისთვისაც.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ კიბერუსაფრთხეები შესაძლოა ატარებდნენ მასობრივი შეტევების ხასიათს სახელმწიფოს საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემაზე, რაც მიზნად ისახავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზებას (რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს). ასევე, არსებობს კიბერშპიონაჟის, კიბერტერორიზმისა და სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულის ინდივიდუალური შემთხვევების საფრთხე, რომლის საპასუხოდ უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხორციელდება სათანადო ღონისძიებები.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის კიბერ-სივრცის უსაფრთხოების დაცვა არ განეკუთვნება სამსახურის კომპეტენციას, საფრთხის მასშტაბებისა და მოსალოდნელი შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით, სამსახური ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს აღნიშნული საფრთხეების ნეიტრალიზების, ასევე შედეგების მინიმიზების თვალსაზრისით.

პრევენციის კუთხით, უსაფრთხოების სამსახური, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში, კონსულტაციას უწევს სახელმწიფო დაწესებულებებს უსაფრთხო საინფორმაციო სისტემების შექმნის, ქსელის დაცვისა და აპარატურული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ცალკეული ორგანიზაციებისთვის კონკრეტული ინციდენტების გამოვლენის შედეგად აღმოჩენილი სისუსტეების აღმოფხვრის მიზნით. 2015 წელს, აღნიშნულ სფეროში კონსულტაცია გაეწია 10 ორგანიზაციას და მათთვის შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების სამსახური ახდენდა რეაგირებას აღმოჩენილი ინციდენტების სწრაფი აღმოფხვრისა და მავნე შედეგების მინიმიზაციის მიზნით. 2015 წელს სუს-ის მიერ აუცილებელი ღონისძიებები გატარდა 5 ინციდენტის საპასუხოდ.

სამსახური ასევე ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის საგამომიებო მოქმედების ხელშეწყობას, ციფრული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შესაბამისი საექსპერტო კვლევის მეშვეობით. ამ

მიმართულებით, სუს-ს გააჩნია შესაბამისი ლაბორატორია და კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი. საანგარიშო პერიოდში სამსახური მონაწილეობდა 22 ინციდენტის გამოძიებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მომსახურების მიმწოდებლების (facebook, Gmail, youtube და ა.შ.) ინფრასტრუქტურა (სასერვერო აპარატურა, ინფორმაციის შემნახველი მასივები და ა.შ.) განთავსებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. სწორედ ამის გათვალისწინებით, კონკრეტული IP მისამართების და მათ უკან მდგომ პირთა იდენტიფიცირებისთვის (რომელთაც დანაშაულებრივი მიზნებისთვის ისარგებლეს ან სარგებლობენ აღნიშნული სერვისით მაგ: ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები, ვებ-გვერდები და ა.შ.), ასევე კიბერსივრცეში მომხდარი ინციდენტების დროული და ეფექტიანი გამოძიებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობას. სწორედ აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ინტერნეტსივრცეში განთავსებული საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი ვიდეორგოლების დაბლოკვა.

## **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა**

სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება. მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა (ბუნებრივი, შემთხვევითი/ადამიანური შეცდომით გამოწვეული და კრიმინალური ფაქტორები), ქბრბ ინციდენტები, მასშტაბებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის.

ქბრბ საფრთხეების კუთხით, ზოგადად, რეგიონი არასტაბილურია. ცალკეულ სახელმწიფოებს გააჩნიათ კარგად განვითარებული ბირთვული ინდუსტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ბირთვულ ინციდენტს საქართველოზე უარყოფითი გავლენა ექნება. ქვეყანაში ასევე განთავსებულია რამდენიმე მიტოვებული ობიექტი (ყოფილი საბჭოთა სამხედრო და სამეცნიერო ობიექტები), სადაც შესაძლებელია დღესაც მოიპოვებოდეს ქიმიური და რადიოლოგიური საფრთხის შემცველი ნივთიერებები. არსებობს რადიოაქტიური და ქიმიური ნივთიერებების განთავსების ადგილები, ბიოლოგიური პროფილის დაწესებულებები. შესაბამისად, უსაფრთხოების არასათანადო პირობებში, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორების



ზემოქმედებით, ასევე კრიმინალური ქმედებებით, მუდმივად არსებობს ქბრბ ნივთიერებების გარემოში მოხვედრისა და უკანონო დაუფლების რისკი.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ტერორისტების მიერ ამ ნივთიერებების ავი განზრახვის მიზნით ხელში ჩაგდების სურვილი. ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა, ასევე ხელსაყრელ გარემოს ქმნის იარაღის და ქბრბ ნივთიერებების უკანონო ბრუნვისა და ტრანზიტისთვის.

ქბრბ უსაფრთხოების სფეროში უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები. სუს-ი აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის ინიციატივაში „ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“ და მჭიდროდ თანამშრომლობს ამ ინიციატივის თბილისის რეგიონულ სამდივნოსთან (სამდივნო 2013 წელს დაარსდა და 9 ქვეყანას - ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, მონტენეგრო, საქართველო, მოლდოვა, სერბეთი და უკრაინა - აერთიანებს), ასევე აშშ-სთან, გაერო-სთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თუ ორგანიზაციებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის გაყოფის შემდეგ, უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია, 2015 წლის მარტში კი სამოქმედო გეგმა (ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმა). მის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული გაერო-ს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტი (UNICRI), აშშ-ს საელჩო საქართველოში და ევროკავშირის ექსპერტები. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოების, ბიოლოგიური დაცულობისა და ბიოუსაფრთხოების საკითხებს, ასევე ქიმიურ კომპონენტს, მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი შექმნისთვის საჭირო კომპონენტების გაუფრცვლებლობას, ნარჩენების მართვას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, წვრთნისა და აღჭურვის გზით შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციებისა (მათ შორის გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1540 რეზოლუცია) და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების იმპლემენტაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. სუს-ი კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ევროკავშირის „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“ (EU CBRN Risk Mitigation Centers of Excellence) ინიციატივის პირველი პარტნიორი ქვეყანაა, რომელმაც შეიმუშავა და დაამტკიცა აღნიშნული დოკუმენტი.

უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრეს 2015 წლის 1 ოქტომბერს ბერლინში გამართულ დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალური პარტნიორობის (G7 Global Partnership Against the Spread of the Weapons and Materials of Mass Destruction) სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც UNICRI-სა და გერმანული მხარის მიწვევით იმყოფებოდნენ. სუს-ის მიერ სამოქმედო გეგმის და ზოგადად, ქბრბ უსაფრთხოების სფეროში საქართველოს პროგრესის პრეზენტაცია ასევე გაიმართა 2015 წლის 7 ოქტომბერს ნიუ იორკში, გაეროს შტაბბინაში, გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობისა და UNICRI-ს ინიციატივით ორგანიზებულ ღონისძიებაზე „ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმები საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ და ხელოვნური ინტელექტის აქტუალობა“. აღნიშნულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს წარმატებას ქბრბ უსაფრთხოების სფეროში და სხვა ქვეყნებისთვის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

2015 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ძალისხმევის შედეგად, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ფილიპინებისა და მაროკოს მთავრობებთან ერთად, შეიქმნა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირებისა და უსაფრთხოების მმართველობის შესახებ გაერო-ს მეგობართა ჯგუფი“ (UN Group of Friends on CBRN Risk Mitigation and Security Governance). 2015 წლის 8 დეკემბერს, გაერო-ში საქართველოს მისიის თავმჯდომარეობით, გაიმართა ჯგუფის პირველი დამფუძნებელი სხდომა, რომელსაც 27 წევრი ქვეყანა ესწრებოდა. მეგობართა ჯგუფი მიზნად ისახავს ქბრბ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გაერო-ს დღის წესრიგში დაყენებასა და განხილვას, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას, გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების იმპლემენტაციის ხელშეწყობას, ახალი რეზოლუციების ინიცირებას და ა.შ.

სუს-ისთვის ასევე პრიორიტეტულია საქართველოს გაწევრიანება დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალურ პარტნიორობაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 1 ოქტომბერს, ბერლინში პარტნიორობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა საქართველოს მზაობის შესახებ შეუერთდეს გლობალურ პარტნიორობას და ქბრბ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილებით, კიდევ უფრო გაზარდოს თავისი წვლილი მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურაში. სუს-ის რეკომენდაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, გლობალურ პარტნიორობაში ქვეყნის გაწევრიანებასთან

დაკავშირებით, ოფიციალური წერილით უკვე მიმართა იაპონიის (დიდი შვიდეულის თავმჯდომარე ქვეყანა) მთავრობას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაუფრცვლებლობის, ასევე რადიოაქტიური წყაროების დაცულობის კუთხით, განხორციელებული ღონისძიებები. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, ხორციელდებოდა ექსპლუატაციიდან ამოღებული, აგრეთვე მიტოვებულ სამეცნიერო ობიექტებში ნაპოვნი რადიოაქტიური წყაროების ტრანსპორტირება მცხეთის სპეციალურ საცავში. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით საცავში გადატანილ იქნა 5 ქილა გაუმდიდრებელი ურანი (ჯამში 115 გრამი). 2015 წლის დეკემბერში, უსაფრთხოების სამსახურის მიერ, ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტიდან განხორციელდა 1.83 კგ. გამდიდრებული ურანის ევაკუირება მწარმოებელ ქვეყანაში. ამას წინ უძღოდა სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობა, 2015 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, ვენაში, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში, აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტის ეგიდით აღნიშნულ საკითხზე გამართულ მოლაპარაკებებში.

სუს-ი უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკურ და პროგრამულ გამართულობას. სახელმწიფო საზღვარზე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების გამოვლენის სფეროში სამსახური აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტის მთავარი პარტნიორია. უსაფრთხოების სამსახურის მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისთვის შემუშავდა სასწავლო გეგმა და მომზადდა მასალები თემაზე „მასობრივი განადგურების იარაღისა და მასში გამოყენებული მასალების გაუფრცვლებლობა და პრევენცია“. გადამზადდა სანაპირო დაცვის 20 თანამშრომელი. ასევე, შემუშავდა ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენის სფეროში სასაზღვრო პოლიციის სტანდარტული სამოქმედო პროცედურები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქბრბ ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. 2015 წლის აგვისტოში თბილისში რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო მოპყრობის ფაქტზე (სსკ 230-ე მუხლის პირველი ნაწილი) დაკავებული იქნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რის შედეგადაც ამოღებულია რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-135“-ის და „ცეზიუმ-137“-ის ნარევის შემცველი ქარხნული წესით დამზადებული სპეციალური მინის ორი კონტეინერი (თითოეული წონით 600 გრამი). პასუხისგებაში მიეცა ხუთი პირი. 2015 წლის 28 დეკემბერს, იგივე მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, 2016 წლის 6 იანვარს, თბილისში დაკავებულ იქნა დანაშაულებრივი

ჯგუფი, რის შედეგადაც ამოღებულია რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-137“-ის შემცველი მცირე კონტეინერი. პასუხისგებაში მიცემულია სამი პირი.

რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთის სფეროში, სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-თან ხელმოწერილი ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ერთობლივი სამოქმედო გეგმის (Joint Document of US and Georgian Delegations on Georgia's Priority Needs To Improve Its Capabilities to Combat Nuclear Smuggling) შესრულებას. ამერიკულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველომ სერიოზულ წარმატებას მიაღწია ამ გეგმის ყველა კომპონენტის იმპლემენტაციაში და გამოთქვა სურვილი გაეცნოს ქართულ გამოცდილებას რადიოაქტიური და ბირთვული მასალების ამოღების, უსაფრთხო განთავსებისა და კონტრაბანდის ფაქტების გამოძიების სფეროში. სწორედ ამ მიზნით, სუს-ისა და აშშ-ის საელჩოს ორგანიზებით, დაგეგმილია ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ქართულ-ამერიკული ორმხრივი დიალოგის 2016 წელს გამართვა.

საანგარიშო პერიოდში, სუს-ის ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული დანაყოფის თანამშრომლები მონაწილეობდნენ არაერთ საერთაშორისო სემინარსა და ტრენინგში, მათ შორის ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გამართულ სემინარში – „ბირთვული უსაფრთხოების აუცილებელი ელემენტები“ და ბაქოში თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და აშშ-ის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში - „მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად საჭირო ნივთიერებისა და ორმაგი დანიშნულების მასალების გავრცელების გზები“. 2015 წლის სექტემბერში, აშშ-ის საელჩოს მიერ შესაბამის დანაყოფს გადმოეცა რადიაციის აღმომჩენი ახალი თაობის ხელსაწყოები.

## **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. კორუფცია ხელყოფს საჯარო სექტორის გამართულ ფუნქციონირებას, ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას, აფერხებს ქვეყნის სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებას. კორუმპირებული საჯარო მოხელეები დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების პოტენციურ სამიზნეებს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სამოხელეო დანაშაულის, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და

კორუფციის ფაქტების, მათ შორის, „ელიტური კორუფციის“ პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა წარმოადგენს.

სამსახური აქტიურადაა ჩართული საქართველოს მთავრობის 2014 წლის N236 დადგენილებით დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (2014-2017წწ.) სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკების შეფასების პროცესთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, ასევე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N390 დადგენილებით შექმნილ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოქმედ სამუშაო ჯგუფში.

კორუფციასთან ბრძოლაში თანამედროვე სტანდარტებისა და მიდგომების გათვალისწინებით, ხდება საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. სამსახურის შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლები ინტენსიურად მონაწილეობენ დასავლელი პარტნიორების, მათ შორის აშშ-ის საელჩოს, ინტერპოლის, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს და ნატოს დახმარებით ორგანიზებულ პროგრამებში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შექმნიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 29 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების 14, თაღლითობის 5, მითვისების ან გაფლანგვის 3, კომერციული მოსყიდვის 2, სამსახურებრივი სიყალბის 2, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 1 ფაქტზე და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე. დაკავებულია 16 პირი. დღეის მდგომარეობით, ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაშია სისხლის სამართლის 142 საქმე.

## ანალიტიკური საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების განმტკიცებაში გადამწყვეტია ფაქტებისა და გარემოებების ადეკვატური შეფასება, მოვლენების განვითარების სწორი ანალიზი და პროგნოზირება. შესაბამისად, აუცილებელია უსაფრთხოების სამსახურს გააჩნდეს ძლიერი ანალიტიკური შესაძლებლობები, რაც მიღებული ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და ხარისხიან ანალიზს უზრუნველყოფს.

აღნიშნული ამოცანის შესრულებისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა ქმედითი, მაღალპროფესიული და კვალიფიციური ანალიტიკური გუნდი, რომელიც ახორციელებს სამსახურის ოპერატიული დანაყოფების მიერ მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარების ანალიზს, საფრთხეების

პროგნოზირებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ანალიტიკოსები ახდენენ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე სამსახურის ხელმძღვანელობის შესაბამისი დოკუმენტებით უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში მომზადდა 500-მდე ანალიტიკური და საინფორმაციო ბარათი.

ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის დაიხვეწა ღია და ფარული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგია. დაინერგა ანალიტიკური საქმიანობის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ინფორმაციის ფრაგმენტულობის შემთხვევაში, განსაზღვრავს დამატებითი ინფორმაციის საჭიროებასა და ხასიათს, ასევე უზრუნველყოფს მის მოპოვებაზე დაკვეთას.

გაუმჯობესდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია. შექმნილია სხვადასხვა მუდმივმოქმედი და დროებითი სამუშაო ჯგუფები, სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკოსები, ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, სისტემატურად გადიან ტრენინგებს, მონაწილეობენ საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში.

## **პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

უსაფრთხოების სამსახური, თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვას. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე გავრცელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის უფლებამოსილება. სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ორ-ეტაპიანი, ე.წ. „ორ-გასაღებიანი“ სისტემით, რომელიც გამორიცხავს ინსპექტორის თანხმობის გარეშე ობიექტების აქტივაციის შესაძლებლობას. უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ინსპექტორთან ამ მიმართულებით და ატარებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

ინსპექტორის აპარატის ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა სრულად გაცნობოდნენ და შეესწავლათ სატელეფონო საუბრების

ფარული მიყურადების და ჩაწერის სისტემის ტექნიკური დოკუმენტაცია. ამავე ჯგუფთან კოორდინაციით დაინერგა და დაიხვეწა კონტროლის ორ-ეტაპიანი, ე.წ. „ორ-გასაღებიანი“ სისტემის გამოყენების პროცედურები და აღმოიფხვრა სისტემის ფუნქციონირების შედეგად გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები. ტექნიკური ჯგუფების თანამშრომლობა ამ მიმართულებით ატარებს ყოველდღიურ ხასიათს. ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ შიდა სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და ორგანიზაციულ საკითხებს.

ამჟამად, ინსპექტორის მიერ ხორციელდება სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის გეგმიური ინსპექტირება. აღნიშნული მიზნად ისახავს ფარული მიყურადების, ასევე კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნის ფარული საგამომიებო მოქმედებების, ასევე მონაცემთა ბანკების გამოყენების ტექნიკური, ორგანიზაციული და პროცედურული საკითხების შემოწმებას. შემოწმების დასრულების შემდეგ ინსპექტორი შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

სუს-ი საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის გაცემას. 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თვალსაზრისით შემოვიდა 122 განცხადება, რომელთაგან: დაკმაყოფილდა 57, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 5, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა 40 და არ დაკმაყოფილდა 20 განცხადება.

## ადამიანური რესურსები

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლების პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას. ოპერატიული თანამშრომლების, ანალიტიკოსების, გამომძიებლების, ღია და ფარული შემადგენლობის, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების ყოველდღიური საქმიანობა მოითხოვს საუკეთესო და კრიტიკულ უნარებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. აღნიშნული მოიცავს სხვადასხვა აკადემიური განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე საუკეთესო კადრის მოზიდვასა და დასაქმებას, მოტივირებას, განვითარებას, წახალისებასა და კარიერული წინსვლის უზრუნველყოფას.

შექმნის დღიდან, მუდმივად ფასდება უსაფრთხოების სამსახურის ადამიანური რესურსების შესაძლებლობები, კომპეტენცია და შესაბამისობა სამომავლო მოთხოვნებთან, საფრთხეებსა და გამოწვევებთან. დაიხვეწა პერსონალის შერჩევისა და სპეციალური შემოწმების პროცედურები და კრიტერიუმები. აღნიშნული მიმართულებით გამოიკა შესაბამისი ნორმატიული აქტები. უზრუნველყოფილია დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული თვალსაზრისით.

სამსახური უზრუნველყოფს დასაქმების მიმზიდველობას, მათ შორის, შესაბამისი ანაზღაურებით, სამუშაო პირობებითა და სოციალური პაკეტით. ეს მნიშვნელოვანია, როგორც თანამშრომელთა მოზიდვისთვის, ასევე მათი შენარჩუნებისა და მოტივირებისთვის, განსაკუთრებით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ხშირად მათი საქმიანობა გარკვეული რისკების შემცველია.

დღეისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამტატო რაოდენობა განისაზღვრება 3850 ერთეულით. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უწყებაში დასაქმებული იყო 3633 მოსამსახურე, მათ შორის 495 ქალი.

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტია. უსაფრთხოების ცვალებადი გარემო მუდმივად წარმოშობს სასწავლო პროგრამების განახლების აუცილებლობას. დღეისათვის, შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ თანამშრომლებმა მუდმივად განავითარონ საკუთარი უნარ-ჩვევები, ახალი გამოწვევების საპასუხოდ.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა სპეციალური მომზადების ცენტრის საგანმანათლებლო შესაძლებლობები, გამოიკა სახელმძღვანელოები, განახლდა ბიბლიოთეკა, შემუშავდა სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ახალი პროგრამები, როგორებიცაა: კონტრაზვერვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტების, ასევე, კონტრტერორისტული ცენტრის ოპერატიულ თანამშრომელთა სპეციალური მომზადების პროგრამები; ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების სპეციალური პროგრამა; უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების პროგრამა; სპეციალური ან/და სამხედრო წოდების მქონე პირთა გადამზადების პროგრამა; სახელმწიფო უსაფრთხოების უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მოზადების პროგრამა; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამუშაოდ მისაღები და მიღებული წვევამდებლების სპეციალური მომზადების პროგრამა.



განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტაქტიკური დანაყოფების მომზადებას დასახული ამოცანების მაღალი პროფესიული სტანდარტით შესრულების მიზნით. ამ მიმართულებით შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლებმა გაიარეს გამნადმველთა, სნაიპერთა, მოიერიშეთა, პარამედიკოსთა, ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის, ასევე ინსტრუქტორთა მომზადებისა და სხვა პროგრამები. მათ გადამზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. ამ მიმართულებით აღსანიშნავია აშშ-ის როლი. პროგრამები ითავალისწინებდა საბრძოლო ჯგუფების მომზადებას თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით, დახვეწილი იქნა კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენების მეთოდები, სამედიცინო საშუალებების გამოყენებისა და დაჭრილთა ევაკუაციის, სნაიპერული შაშხანიდან ზუსტი სროლისა და წყვილებში მუშაობის ტექნიკა. ჩატარდა სამთო-ტაქტიკური გადამზადება.

უსაფრთხოების სამსახურის პირადი შემადგენლობა აქტიურად არის ჩართული პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით ჩატარებულ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიონალიზმის, ინიციატივების, წარმატების აღიარებასა და წახალისებას. უზრუნველყოფილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები, ასევე თანამშრომელთა იმ მიმართულებით დასაქმება, სადაც შესაძლებელია მათი უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება.

გასათვალისწინებელია, რომ მმართველი პოზიციებისთვის საჭირო კადრის ჩამოყალიბება გარკვეულ დროს მოითხოვს. სამსახურის მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის უწყვეტობის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა შორის ლიდერის თვისებებისა და მენეჯერული პოტენციალის მქონე პროფესიონალების გამოვლენასა და განვითარებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს განსაკუთრებული მისია აკისრია, რაც მისი თანამშრომლებისგან გამორჩეულ პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელთა საქმიანობა განხორციელდეს კანონის საფუძველზე, მაღალი პროფესიული სტანდარტით, კეთილსინდისიერად, პასუხიმგებლობითა და ეთიკის ნორმების დაცვით.

სამსახური საკუთარი თანამშრომლების განვითარებასა და კარიერულ წინსვლასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას, მათ შორის დისციპლინარული გადაცდომების აღმოფხვრას, დანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლს, მათ მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას.

2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოვლენილ იქნა სამსახურის სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტები და მოახდინა სათანადო რეაგირება. სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა უსაფრთხოების სამსახურის 86 თანამშრომელს (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა - 4, სასტიკი საყვედური - 18, საყვედური - 9, შენიშვნა - 7).

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

უსაფრთხოების სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების ჯეროვანი შესრულებისთვის აუცილებელია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და მუდმივი გაუმჯობესება. გასული წლის საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა სამსახურის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და მატერიალური უზრუნველყოფა.

ამჟამად, სამსახურს გააჩნია დასახული ამოცანების ეფექტიანი შესრულებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. კავშირგაბმულობის სისტემა TETRA-ს განვითარების პროგრამის ფარგლებში შეირჩა, დაპროექტდა და დამონტაჟდა 15 ახალი ობიექტი. ტაქტიკური დანაყოფებისთვის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყო 25, 300 და 700 მეტრიანი სასროლეთი. განხორციელდა სამიზნეებისა და მწყობრიდან გამოსული საშუალებების რეაბილიტაცია. განახლდა სასერვერო და რადიო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით, უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ სულ გაფორმდა 170 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 16 206 881.65 ლარი (აქედან 48 ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის საბიუჯეტო სახსრებით, საერთო ღირებულებით 14 975 499.86 ლარი).

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 85 ტენდერი, აქედან 76 (48 გამარტივებული ელ. ტენდერი და 28 ელ. ტენდერი) 2016 წლის ბიუჯეტის დაფინანსებით. ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით დაიზოგა 307 347.11 ლარი.

## უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავებას. საანგარიშო პერიოდში სუს-ი მჭიდროდ თანამშრომლობდა შსს-სთან, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, საგარეო დაზვერვის სამსახურთან, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებებთან. სამსახური აქტიურად მონაწილეობდა უწყებათშორისი საბჭოებისა თუ კომისიების მუშაობაში, სტრატეგიული და სხვა სახის დოკუმენტების შემუშავებაში. 2015 წლის 21 სექტემბრიდან ძალაშია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ-საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის „სამართალდამცავ სფეროში უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“.

გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორცაა საერთაშორისო ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და სხვა, წარმოუდგენელია სახელმწიფოთა ერთიანი ძალისხმევის გარეშე. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

აღსანიშნავია, რომ საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხივად დაცვის შესახებ 15 მთავრობათშორის და სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, უსაფრთხოების სამსახური განისაზღვრა საქართველოს მხრიდან ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებად.

შესაბამის პროცედურებს გადის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტები უკრაინისა და ბელარუსის შესაბამის უწყებებთან, ასევე საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხივად დაცვის სფეროში იტალიის მთავრობასთან შეთანხმების პროექტი. „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ შეთანხმების“ პროექტზე დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. მომზადდა და ბრიტანეთის მხარეს განსახილველად წარედგინა „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული

სამეფოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების“ პროექტი. მიმდინარეობს მუშაობა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტებზე ალბანეთისა და კვიპროსის რესპუბლიკებთან.

უსაფრთხოების სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სუს-ი მჭროდ თანამშრომლობს საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის, გამოძიების ფედერალური ბიუროს, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL), აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA), ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) და სხვა პროგრამების ფარგლებში. აშშ-ის მხარდაჭერით, სხვადასხვა სფეროებში მომზადება/გადამზადება გაიარა უსაფრთხოების სამსახურის ათეულობით თანამშრომელმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნების უსაფრთხოების ატაშეებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სისტემატურად მიმდინარეობდა მათთან ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია.

სუს-ი აქტიურადაა ჩართული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციაში. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მომზადდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ორი ანგარიში. ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აისახა სამსახურის საქმიანობის სფეროში შემავალ საკითხებზე, ევროკავშირთან თანამშრომლობის ფორმატში, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებები.

სამსახური ასევე ჩართული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებაში, ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამებსა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

უსაფრთხოების სამსახური გახდა ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტის (CODEXTER) წევრი, რომლის მიზანია ევროპის საბჭოს ფარგლებში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი და სხვა დოკუმენტების შემუშავება, წევრი სახელმწიფოების მხრიდან მათი ხელმოწერისა და რატიფიკაციის საკითხის მონიტორინგი და ეროვნულ დონეზე აღნიშნული დოკუმენტების ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

სუს-ი აქტიურად თანამშრომლობს ნატო-სთან, მათ შორის ნატო-ს სამეკავშირეო ოფისთან. აღსანიშნავია, რომ სამსახური მონაწილეობდა 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებაში. 2015 წლის დეკემბერში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გაწევრიანდა ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მმართველ საბჭოში. სამსახური ასევე ჩაერთო ნატო-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის მენიუს ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა გაერო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას. სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გაერო-ს ორგანიზებით გამართულ არაერთ ღონისძიებაში. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა, სუს-ის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესწავლა/ანალიზი.

სუს-ი აქტიურადაა ჩართული ეუთო-ს ეგიდით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დაგეგმილ აქტივობებში. სამსახურის მხრიდან განისაზღვრა ეუთო-ს ფარგლებში შექმნილი კონტრტერორისტული ქსელის საკონტაქტო პირი (CTN Contact Points), რომელიც კოორდინაციას უწევს ეუთო-ს ფარგლებში კონტრტერორისტულ ღონისძიებებში სუს-ის ჩართულობას და ეუთო-ს მიერ ამ სფეროში გამოცემული დოკუმენტების შესრულებას.

სუს-ის თანამშრომლები წარმოდგენილი არიან პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ორგანიზებულ ღონისძიებებში. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის დეკემბერში, ვენაში, ეუთო-ს ორგანიზებით ჩატარებულ ექსპერტთა სამუშაო შეხვედრაზე შეიქმნა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ადამიანთა გატაცებისა და მძევლად აყვანის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ეროვნული უწყებებიდან წარდგენილი საკონტაქტო პირებისგან შემდგარი ექსპერტთა საერთაშორისო ქსელი, რომელშიც ჩართულია სუს-ის წარმომადგენელი.